

## 2012 წელი

### სასწავლო ცენტრის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ უწყების სასწავლო ცენტრის 2012-2015 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

დოკუმენტი სასწავლო ცენტრში დამატებით მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას, მათ შორის სასწავლო პროგრამების განვითარებას ითვალისწინებს, რაც სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

მინისტრის თქმით, სტრატეგიის მთავარი მიზანია სასწავლო ცენტრმა ევროპული სტანდარტების სრულყოფილად დანერგვაზე ორიენტირებული, რეფორმებზე მორგებული თანამედროვე პროგრამებით უზუნველყოს თანამშრომელთა მუდმივი გადამზადება და მათი მაღალი ხარისხის პროფესიონალიზმი.

სასტუმრო „შერატონ-მეტეხი“ პალასში გამართულ შეხვედრას, რომელზეც სასწავლო ცენტრის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია გაიმართა, ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელი კატერინა ბოლონიეზე და დოკუმენტის მუშაობის პროცესში ჩართული ორგანიზაციის ექსპერტები დაესწრნენ.

ღონისძიება ევროპის საბჭოს დაფინანსებით, „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წლების სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

16.03.12

---

### უნივერსალური ოფიცერი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა „უნივერსალური ოფიცერი“ დაიწყო.

სასწავლო პროგრამა, რომელიც ევროპაში არსებული მსგავსი ტიპის სწავლებას ეფუძნება, უნიკალურ საშუალებას აძლევს მონაწილეებს, მიიღონ ცოდნა სასჯელაღსრულების სისტემის ყველა მიმართულებით.

სწავლება სამი ეტაპისგან შედგება. თითოეული ეტაპი მოიცავს თეორიულ ნაწილს, რომელიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ჩატარდება და

პრაქტიკას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, სადაც მოხდება შესწავლილი უნარ-ჩვევების პრაქტიკულად განხორციელება და შეფასება.

ამჟამად სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს პროგრამის პირველი ეტაპი. მსმენელები გადიან ისეთ თემებს, როგორც არის საქართველოს კონსტიტუცია, ზოგად ადმინისტრაციული, პატიმრობის, სისხლის სამართლის კოდექსი, რელიგია, რისკისა და საჭიროებების განსაზღვრა, საერთაშორისო სტანდარტები, მონიტორინგი, სასჯელაღსრულების სისტემის სტრუქტურა, კრიმინალური სუბკულტურა, ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა, წამების აკრძალვა.

ტრენინგის მონაწილეები გადიან პრაქტიკულ და ტაქტიკურ მეცადინეობებს ფიზიკურ და სამწყობრო მომზადებაში, სწავლობენ თავდაცვის ილეთებს, ხელბორკილის გამოყენებისა და უსაფრთხოების წესებს, საგანგებო სიტუაციებში მოქმედებას.

სასწავლო პროგრამის პირველი ეტაპი 10 აპრილს ტესტირებით დასრულდება. თეორიული ნაწილის გავლის შემდეგ მსმენელები პრაქტიკას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაივლიან.

26.03.12

### **ნიდერლანდების დელეგაციის ვიზიტი**

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ნიდერლანდების იუსტიციისა და უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლები ეწვიენ.

დელეგაციის წევრები, ვიზიტის ფარგლებში ესტუმრნენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს. სასწავლო ცენტრის დირექტორმა სტუმრებს სამინისტროს თანამშრომელთა გადამზადების თანამედროვე სასწავლო პროგრამები და დანერგილი სიახლეები გააცნო.

სტუმრები დაინტერესდნენ ცენტრში არსებული ტრენინგებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობითა და შეფასების სისტემის სპეციფიკით.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სასწავლო ცენტრის შენობა და კმაცოფილება გამოთქვეს ცენტრში არსებული რესურსების თაობაზე.

30.03.12

## **პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი დასრულდა**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არასასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ახლადდანიშნულ თანამშრომელთა მომზადება საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით დასრულდა.

ტრენინგის მონაწილეებმა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებასთან ერთად გაიარეს მეცადინეობები ეფექტურ კომუნიკაციასა და ინტერვიუებაში, მოხსენებითი ბარათის მომზადებასა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაში, ასევე პრობაციონერთა პირადი საქმეების წარმოებაში.

ტრენინგის ბოლოს დაიწერა მონაწილეთა ფსიქოლოგიური პროფილები.

ოფიცრები, ამჟამად გადიან 2 კვირიან პრაქტიკას პრობაციის ბიუროებში. აქ პრაქტიკულად შეფასდება ცენტრში მიღებული ცოდნა, უნარ-ჩვევები და მათგან მხოლოდ წარმატებულნი დაინიშნებიან შერჩეულ თანამდებობაზე.

02.04.12

## **ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება**

სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა გადამზადება გრძელდება. მსმენელები გადიან ტრენინგს სასწავლო პროგრამით „ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“. თეორიული და ფიზიკური მომზადება სასწავლო ცენტრში ტრენინგის მონაწილეებს 4 დღის განმავლობაში უტარდებათ.

კურსანტები შეისწავლიან საგანგებო სიტუაციებში სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით მოქმედებას, მსჯავრდებულთა დაკავება-ბადრაგირებისას ხელბორკილების გამოყენებას და გადიან პრაქტიკულ მეცადინეობას იმიტირებულ საკანში.

ტრენინგის მნიშვნელოვან კომპონენტს მონაწილეთა ფსიქოლოგიური მომზადების თეორიული და პრაქტიკული ნაწილი წარმოადგენს. მსმენელები ეცნობიან აგრესიის მართვის მეთოდებსა და გზებს, განიხილავენ პატიმრისა და და ზედამხედველის პირობით პორტრეტებს.

პროგრამის დასასრულს ჩატარდება ტესტირება, რომლის გავლის შემდეგაც წარმატებულ მონაწილეებს შესაბამის სერტიფიკატები გადაეცემათ.

ამ ეტაპზე სასწავლო ცენტრში აღნიშნულ ტრენინგს მსმენელთა მე-11ე ჯგუფი გადის.

18.04.12

### **პირველდაწყებითი საბაზისო მომზადება გრძელდება**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის ახლადდანიშნულ თანამშრომელთა მომზადება პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამის მიხედვით გრძელდება.

სისტემის თანამშრომლები 14 დღიან სასწავლო კურსს გადიან, რაც ითვალისწინებს მონაწილეთა თეორიულ პრაქტიკულ, ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას. სწავლების დაწყებამდე ტრენინგის მონაწილეებს ცოდნის შესამოწმებელი პრე-ტესტი და ფსიქოლოგიური ტესტი უტარდებათ.

სწავლების პროცესში ტრენინგის მონაწილეები ეცნობიან საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სტანდარტებს, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, პატიმრობის კოდექსს, სისტემის სარეჟიმო სამსახურის თავისებურებებსა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების წესებს. ასევე გადიან პრაქტიკულ მეცადინეობებს სამართლებრივი დაკუმენტაციის მომზადებასა და იმიტირებულ საკანში, პირველადი სამედიცინო მომსახურების როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობას.

ტრენინგის მონაწილეები სწავლობენ სამწყობრო სვლას, სპეციალური აღჭურვილობის მოხმარების წესებსა და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ტაქტიკას.

ტრენინგის ბოლოს სერთიფიკატები გადაეცემათ იმ წარმატებულ მსმენელებს, რომლებიც შეფასების სამ კომპონენტთან სისტემის მიხედვით - ტრენინგზე დასწრება, შუალედური გამოკითხვა და ტესტირება - დააგროვებენ 75%-ს და ჩააბარებენ ფიზიკურ ნორმატივებს. ტრენინგის ბოლოს შედგება მონაწილეთა ფსიქოლოგიური პროფილები.

ტრენინგი მეორე ჯგუფისთვის მიმდინარე წლის 5 მაისს დასრულდება.

23.04.12

### **სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა ტრენინგი**

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) სააგენტოს ერთობლივი ორგანიზებით ამა წლის 26 აპრილიდან 6 მაისის ჩათვლით საქართველოს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა ტრენინგები ჩატარდება.

ტრენინგი სამი მოდულისგან შედგება: „პროგრამის მართვა და სტრატეგიული დაგეგმარება“, „პროექტის მართვა“ და „ეფექტური კომუნიკაცია“.

ტრენინგებს IOM-ის მიერ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები გაუძღვებიან.

სწავლება, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავს: მონაწილეები ყოველი თემის გავლის შემდეგ შესაბამის ინდივიდუალურ და გუნდურ დავალებებს შეასრულებენ.

სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ტრენინგში მონაწილეობას მიიღებენ იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცემათ.

26.04.12

---

### **ტრენინგი არასრულწლოვან პატიმრებთან მოპყრობის თემაზე**

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში არასრულწლოვან პატიმართა თემაზე ოთხ ეტაპიანი ტრენინგი დაიწყო. ტრენინგში მონაწილეობას იღებენ ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები, არასრულწლოვანთა განყოფილების, რეჟიმის და უსაფრთხოების თანამშრომლები.

ტრენინგის თემატიკა მრავალფეროვანია და შესაბამის მიზნობრივ ჯგუფებზეა გათვლილი. მონაწილეები გაეცნობიან აკადემიური უნარების შეფასების ინსტრუმენტებს, არასრულწლოვან პატიმრებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებს, პატიმრობის კოდექსის ძირითად დებულებებსა და დაწესებულებების სპეციფიკას.

ტრენინგის შემადგენელ მნიშვნელოვან კომპონენტს ფსიქოლოგიური ნაწილი და დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წყევანასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოადგენს.

ტრენინგი სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით ჩატარდება.

27.04.12

---

## ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი ციხის საერთაშორისო რეფორმასთან (PRI) თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ერთობლივ ტრენინგს სახელწოდებით „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“ განაგრძობს.

ტრენინგში მონაწილეობას იღებენ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, სამედიცინო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტების თანამშრომლები.

ტრენინგის ორი ეტაპი გასული წლის დეკემბერში სიღნაღსა და სასწავლო ცენტრში ჩატარდა. მესამე ეტაპის დასაწყისში მონაწილეები შეაჯამებენ განვლილ ეტაპებზე მიღებულ ცოდნას და მოახდენენ მის პრაქტიკაში გამოყენების ანალიზს.

ტრენინგის თეორიულ ნაწილში შედის ისეთი თემები, როგორც არის დისციპლინური სასჯელების გამოყენება და ადმინისტრაციული პატიმრობა, მოშიშშილე პატიმრებთან მუშაობის სტანდარტები, პატიმრის პირადი საქმის წარმოების სტანდარტები, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მასალების მონიტორინგი, პერსონალის შერჩევის პირობებისა და შესაბამისობის მონიტორინგი.

პრაქტიკული მაგალითებისა და სავარჯიშოების საშუალებით მონაწილეები განიხილავენ პრობლემის გადაწყვეტის მოდელებს, იმუშავებენ ქეისებზე, გამოავლენენ პატიმრის უფლებების შესაძლო დარღვევებს.

ტრენინგის მესამე ეტაპი 28-30 აპრილს მისაქციელში გაიმართება, მეოთხე ეტაპი კი 5-6 მაისს არის დაგეგმილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ჩატარდება.

28.04.12

---

## სამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი პროგრამები

სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი პროგრამების შემუშავების მიზნით გამართული სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ტრენერთა ტრენინგის, სამედიცინო პერსონალისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების არასამედიცინო პერსონალის მოსამზადებელი სასწავლო პროგრამები.

შეხვედრა 27-29 აპრილს სასტუმროში "ლოპოტა" გაიმართა. ღონისძიება ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი, სამედიცინო დეპარტამენტისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლები და ევროპის საბჭოს ექსპერტები.

სამედიცინო პერსონალის ტრენერთა ტრენინგი მიმდინარე წლის მაისში ჩატარდება.

30.04.12

### **სამუშაო ვიზიტი კალიშეს სასწავლო ცენტრში**

3 მაისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა სამუშაო ვიზიტით პოლონეთში გაემგზავრა.

ვიზიტის მიზანს კალიშეს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის დაწყება, სასწავლო პროცესის თავისებურებების გაზიარება და პოლონეთის პენიტენციური სისტემის გაცნობა წარმოადგენს.

ვიზიტის ფარგლებში სასწავლო ცენტრის დირექტორი მონაწილეობას მიიღებს დირექტორების საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, რომელსაც ევროპის 10 ქვეყნის სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები დაესწრებიან. კონფერენციაზე დაგეგმილია პრეზენტაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ. სამუშაო ვიზიტი ასევე მოიცავს პოლონეთის რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და კულეს სასწავლო ცენტრის მონახულებას.

სამუშაო ვიზიტი 9 მაისს დასრულდება.

03.05.12

### **ფსიქიკური ჯანმრთელობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და პაციენტის უფლებები**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ტრენერთა ტრენინგი დაიწყო. ტრენინგი სახელწოდებით „ფსიქიკური ჯანმრთელობა სასჯელაღსრულების

დაწესებულებებში და პაციენტის უფლებები“ ოთხი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნობიან კომუნიკაციის სახეებს, კონფიდენციალობის საკითხებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ძირითად ფორმებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკ- და დამცავ ფაქტორებს; განიხილავენ თემებს: ციხის თანამშრომლების როლი ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვაში, ფსიქიკური აშლილობის „ბიო-ფსიქო-სოციალური მოდელი“, უფლება ჯანმრთელობაზე, სტამბოლის პროტოკოლი, წამების შედეგების გამოძიება და დოკუმენტირება, თვითდაზიანება ციხეში, სუიციდური ქცევა და პრევენცია და ა.შ.

მონაწილეები განიხილავენ დილემებს და მაგალითებს, გააკეთებენ პრაქტიკულ სავარჯიშოებს და მონაწილეობას მიიღებენ როლურ თამაშებში.

პროექტი ევროკავშირის დაფინანსებითა და ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციის თანადაფინანსებით ტარდება.

ტრენინგი ტრენერთათვის 8 მაისს დასრულდება.

04.05.12

---

### **პროექტის „უნივერსალური ოფიცერი“ მეორე ეტაპი დაიწყო**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გრძლევადიანი სასწავლო პროგრამის „უნივერსალური ოფიცერი“ მეორე ეტაპი დაიწყო. სწავლების დაწყებამდე კურსანტებს ჩაუტარდათ პრეტესტი.

მომდევნო 10 დღის მანძილზე მსმენელები გაივლიან სასჯელაღსრულების სამართალთან დაკავშირებულ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს. სასწავლო კურსის თემატიკა მრავალფეროვანია: სამორიგო ცვლა სასჯელაღსრულების სისტემაში და სარეჟიმო სამსახურის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, კრიმინალური სუბკულტურა, მსჯავრდებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, საკითხები საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან, სოციალური სამსახურის სპეციფიკა, იარაღის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარდების მიხედვით და ა.შ.

მონაწილეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები იმიტირებულ საკანში და სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში. მსმენელები ასევე



მონაწილეობას მიიღებენ როლურ თამაშებში. ტრენინგის ფსიქოლოგიურ ნაწილში კურსანტები შეისწავლიან აგრესიის მართვის ტექნიკებს, ლიდერობის ფორმებს, თვითგანვითარების საშუალებებს.

სასწავლო პროგრამის მეორე ეტაპი 18 მაისს დასრულდება.

07.05.12

### **სასწავლო ცენტრის დირექტორის ვიზიტი პოლონეთში დასრულდა**

დასრულდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის სამუშაო ვიზიტი კალიშეს სასჯელაღსრულების სამსახურის ცენტრალურ სასწავლო ცენტრში (პოლონეთი).

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა მონახულეს პიოტრკოვ ტრიბუნალსკის, ოსტროვ ვიელკოპოლსკისა და ვროცლავის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ასევე ეწვიენ კულეს სასწავლო ცენტრს.

ვიზიტის პროგრამა მოიცავდა სასწავლო ცენტრების დირექტორების სამდღიან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას, რომლის მიზანს სასწავლო ცენტრებს შორის გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა.

კონფერენციაში მონაწილეობას საქართველოს გარდა ევროპის 9 ქვეყნის სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები იღებდნენ (პოლონეთი, საქართველო, ბელგია, საფრანგეთი, მოლდავეთი, ლატვია, ნორვეგია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და სომხეთი). საქართველოს დელეგაციის წევრები სასწავლო ცენტრის შესახებ პრეზენტაციით წარდგნენ კონფერენციის მონაწილეთა წინაშე.

ვიზიტის ბოლოს შედგა შეხვედრა კალიშეს სასჯელაღსრულების სამსახურის ცენტრალური სასწავლო ცენტრის დირექტორ პოლკოვნიკ ქ-ნ დანუტა კალამანთან. პოლონეთის მხარემ მზადყოფნა გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისა და ერთობლივი პროექტის განხორციელების თაობაზე.

09.05.12

## საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა გადამზადება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა მიმდინარეობს.

ტრენინგის თემატიკა მრავალფეროვანია. თეორიულ ნაწილში კურსანტები გაეცნობიან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ტიპებსა და მათ დებულებებს, ძირითად დებულებებს საქართველოს კონსტიტუციიდან, საქართველოს სამოქალაქო სისხლის სამართლის, საპროცესო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან, ადამიანის ძირითად უფლებებს, საერთაშორისო სტანდარტებს, „პეკინის წესებსა“ და ციხის ევროპულ წესებს.

თეორიული სწავლების პარალელურად, მასალის განმტკიცების მიზნით მონაწილეები პრაქტიკულ მეცადინეობას გაივლიან ელექტრონული რეესტრის წარმოებასა და სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაში.

ტრენინგის მნიშვნელოვან ნაწილს „ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა“ წარმოადგენს. აქ თეორიულ სწავლებასთან ერთად მსმენელები პრაქტიკული ამოცანების ამოხსნაში მიიღებენ მონაწილეობას და იმიტირებული შემთხვევების მაგალითზე კონფლიქტურ სიტუაციაში მოქმედებას და კონფლიქტის გადაწყვეტის გზებს შეისწავლიან.

მოდულის - „სერვის პლუსი“ გავლისას კურსანტები გაეცნობიან მომხმარებელთა ტიპებს, მათთან კომუნიკაციის ძირითად ასპექტებს, კონფლიქტური სიტუაციის მართვას, ქოუჩინგსა და კოლეგიალურ კონსულტაციას.

გამომუშავებული უნარ-ჩვევები მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ მოქალაქეთათვის ეფექტური მომსახურების გაწევაში.

ტრენინგი ამა წლის 22 მაისს დასრულდება.

09.05.12

## ტრენინგი არასათანადო მოპყრობის თემაზე გრძელდება

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობასთან ბრძოლის განმტკიცების“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ორდღიანი ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთათვის თემაზე: „არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრა, წამებისა და

არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის სტანდარტები“.

ტრენინგის თემატიკა: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოსთან მიმართებაში, წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის (CPT) სტანდარტები და მანდატი, წამების აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით.

მონაწილეები ასევე განიხილავენ წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტის 2010 წლის ანგარიშს საქართველოსთან მიმართებაში, ევროპული ციხის წესებს ზოგადად და მესამე მუხლთან მიმართებაში, არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიებს.

ტრენინგის განმავლობაში მსმენელები თეორიული სწავლების გარდა პრაქტიკული დავალებების ამოხსნაშიც მიიღებენ მონაწილეობას.

ტრენინგს სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ორი ჯგუფი გაივლის. ტრენინგი პირველი ჯგუფისთვის 2012 წლის 11 მაისს დასრულდება. ტრენინგი მეორე ჯგუფისთვის მიმდინარე წლის 24-25 მაისს ჩატარდება.

10.05.12

### **ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის დაიწყო**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში იურიდიული დახმარების ადვოკატების ტრენინგი მიმდინარეობს.

სასწავლო კურსი მოიცავს სიახლეებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

პრაქტიკოსი ადვოკატებისთვის ტრენინგი ინტერაქტიული მეთოდით წარიმართება. თეორიული კურსის მიმოხილვის შემდეგ სიახლეებს და პრობლემებს კითხვა-პასუხის რეჟიმში განიხილავენ.

ტრენინგს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, ლალი ფაფიაშვილი უძღვება.

14.05.12

## **ტრენინგი „ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“ გრძელდება**

სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელთა გადამზადება გრძელდება.

ტრენინგს სასწავლო პროგრამით „ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“ უკვე მე-15 ჯგუფი გადის.

ტრენინგის მონაწილეები 4 დღის განმავლობაში შეისწავლიან საგანგებო სიტუაციებში სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით მოქმედებას, მსჯავრდებულთა დაკავება-ბადრაგირებისას ხელბორკილების გამოყენებას და პრაქტიკულ მეცადინეობას იმიტირებულ საკანში.

ტრენინგის მნიშვნელოვან კომპონენტს მონაწილეთა ფსიქოლოგიური მომზადების თეორიული და პრაქტიკული ნაწილი წარმოადგენს. მსმენელები ეცნობიან აგრესიის მართვის მეთოდებსა და გზებს, განიხილავენ პატიმრისა და ზედამხედველის პირობით პორტრეტებს.

პროგრამის დასასრულს მონაწილეებს უტარდებათ ტესტირება, რომლის გავლის შემდეგაც გადაეცემათ შესაბამისი სერთიფიკატი.

16.05.12

## **ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარე წლის 20 მაისს ჩატარდა იურიდიული დახმარების ადვოკატების ტრენინგი ექსტრადიციის პროცედურებთან დაკავშირებით.

სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

1. ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ;
2. სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი რიგი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ექსტრადიციის შემთხვევაში;
3. პრეცედენტული საქმეები;
4. საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

ტრენინგის მსვლელობისას ადვოკატებს საშუალება მიეცათ განეხილათ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები და გაეზიარებინათ საერთაშორისო გამოცდილება.

ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი - ლევან მესხორაძე.

21.05.12

### **ტრენერთა ტრენინგი სამედიცინო პერსონალისთვის დაიწყო**

სასწავლო ცენტრის ორგანიზებით დღეს კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ იწყება ტრენერთა ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომელსაც ქართველი და უცხოელი ექსპერტები წარუძღვებიან.

მონაწილეები 5 დღის განმავლობაში გაეცნობიან პატიმართა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და პატიმრობის კოდექსის ძირითად ასპექტებს, ციხეში ტუბერკულოზის, აივ/შიდსის და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტების მართვისა და ციხეში მომუშავე პერსონალის სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო პრინციპებს.

მონაწილეები მიმოიხილავენ პატიმართა ჯანმრთელობის საკითხებს საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით, პატიმართა სამედიცინო უზრუნველყოფაზე მონიტორინგის განმახორციელებელ ეროვნულ და საერთაშორისო მექანიზმებს, აგრეთვე ისეთ თემებს, როგორც არის: ფსიქოაქტიური ნივთიერებები ციხეში, ციხეში ფსიქიკური დარღვევების მართვა, სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენცია, პატიმართა მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა; გაეცნობიან მოშიშმილე პატიმრების მართვის პრინციპებსა და ციხეში ძალადობის მართვის საერთაშორისო სტანდარტებს, ევროპის სასამართლოს პრაქტიკას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლების დარღვევაზე.

პროგრამის ბოლო დღე დაეთმობა ტრენერთა უნარ-ჩვევებისა და არაფორმალური სწავლების მეთოდების განხილვას, რის შემდეგაც მონაწილეები შეაფასებენ ტრენინგს და მიიღებენ ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს.

ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის, „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წლების სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“, ფარგლებში ხორციელდება.

23.05.12

## **„ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“ ოფიცერთა შემადგენლობისთვის**

სასწავლო ცენტრში სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის ოფიცერთა შემადგენლობის გადამზადება გრძელდება.

ტრენინგს სასწავლო პროგრამით „ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“ ოფიცერთა მეორე ჯგუფი გადის.

ტრენინგის მონაწილეები 5 დღის განმავლობაში მიმოიხილავენ პატიმრობის კოდექსში შესულ საკანონმდებლო სიახლეებს და კონფლიქტური სიტუაციების არსებობისას ძალის მინიმალური გამოყენებით პატიმრებთან მოპყრობის წესს; გაივლიან სამწყობრო მომზადებას, შეისწავლიან საგანგებო სიტუაციებში სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებით მოქმედებას, მსჯავრდებულთა დაკავება-ბადრაგირებისას ხელბორკილების გამოყენებას.

კურსანტებს ასევე ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობა იმიტირებულ საკანში და სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში.

ტრენინგის მნიშვნელოვან კომპონენტს მონაწილეთა ფსიქოლოგიური მომზადება წარმოადგენს. მსმენელები განიხილავენ კონფლიქტის წარმოშობის ძირითად ფაქტორებს, ვერბალური და არავერბალური კომინიკაციის როლს ინტერპერსონალური კონფლიქტის ესკალირებასა და სტაბილიზირებაში. გაეცნობიან პატიმრისა და ზედამხედველის პირობით პორტრეტებს, მათ ურთიერთობაში აქტუალურ პრობლემებსა და ამ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ტრენინგის ბოლოს სერთიფიკატები გადაეცემათ იმ წარმატებულ მსმენელებს, რომლებიც შეფასების სამ კომპონენტთან სისტემის მიხედვით - ტრენინგზე დასწრება, შუალედური გამოკითხვა და ტესტირება - დააგროვებენ 75%-ს და ჩააბარებენ ფიზიკურ ნორმატივებს.

ტრენინგი ოფიცერთა შემადგენლობის მეორე ჯგუფისთვის 6 ივნისს დასრულდება.

04.06.12

## **პროექტის „უნივერსალური ოფიცერი“ III ეტაპი დაიწყო**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გრძელვადიანი სასწავლო პროგრამის „უნივერსალური ოფიცერი“ მესამე ეტაპი დაიწყო. სწავლების დაწყებამდე კურსანტებს ჩაუტარდათ პრეტესტი.

9 დღის მანძილზე კურსანტები გაეცნობიან საბადრაგო სამსახურის, კადრების განყოფილებისა და კანცელარიის მუშაობის სპეციფიკას. ტრენინგის მონაწილეები გაივლიან ისეთ თემებს, როგორც არის ეფექტური კომუნიკაცია და ორგანიზაციული მენეჯმენტი.

მონაწილეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებასა და აღრიცხვაში, ასევე პირად და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებაში, მონაწილეობას მიიღებენ ბადრაგირებისა და ექსტრადაციის იმიტირებულ პროცესებში.

სასწავლო პროგრამის მესამე ეტაპი 12 ივნისს დასრულდება.

06.06.12

### ტრენინგი სამედიცინო პერსონალისათვის დაიწყო

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დაიწყო ტრენინგი სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის თემაზე „სამართლებრივი ნორმები და პატიმართა ჯანმრთელობის/ფსიქიკური დარღვევების მართვა“.

ტრენინგის მონაწილეები განახორციელებენ პატიმართა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობის და პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვას, გაეცნობიან ციხეში ტუბერკულოზის, აივ/შიდსის და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტების მართვის, ციხეში მომუშავე პერსონალის სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო პრინციპებს, ასევე ჯანმრთელობის საკითხებს საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით.

ტრენინგი მოიცავს აგრეთვე შემდეგ თემებს: ფსიქოაქტიური ნივთიერებები ციხეში, ციხეში ფსიქიკური დარღვევების მართვა, სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენცია, მოშიშშილე პატიმრების მართვის პრინციპები, პატიმართა მოწყვლადი ჯგუფების ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ციხეში ძალადობის მართვის საერთაშორისო სტანდარტები, ევროპის სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი და მე-3 მუხლების დარღვევაზე, პატიმართა სამედიცინო უზრუნველყოფაზე მონიტორინგის განმახორციელებელი ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმები.

სწავლებას წარუძღვებიან ტრენერები, რომლებიც ამა წლის მაისში კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ ჩატარებული ტრენერთა ტრენინგის მონაწილეობის შედეგად იქნენ შერჩეულნი.

ტრენინგი მიმდინარე წლის 10 ივნისს დასრულდება.

ღონისძიება ევროპის საბჭოს პროექტის „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013 წლების სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“, ფარგლებში ხორციელდება.

07.06.12

---

### **პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა ტრენინგი**

„არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ სიახლეებთან დაკავშირებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში პრობაციის თანამშრომელთა ტრენინგი ტარდება.

ერთ დღიანი ტრენინგის განმავლობაში პრობაციის ეროვნული ბიუროს 60 თანამშრომელი საკანონმდებლო სიახლეებს გაეცნობა.

ტრენინგი ამა წლის 9 ივნისს განხორციელდება.

08.06.12

---

### **საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა სასწავლო პროგრამა**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა გადამზადების პროგრამა გრძელდება.

ტრენინგის მონაწილეები გადიან როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. კურსანტები გაეცნობიან ადგილობრივ კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს.

მონაწილეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობა ელექტრონული რეესტრის წარმოებასა და სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენაში.

მოდულის - „სერვის პლუსი“ გავლისას კურსანტები გაეცნობიან მომხმარებელთა ტიპებს, მათთან კომუნიკაციის ძირითად ასპექტებს, კონფლიქტური სიტუაციის მართვას, ქოუჩინგსა და კოლეგიალურ კონსულტაციას.

„ეფექტური კომუნიკაცია და კონფლიქტების მართვა“ სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდულია. აღნიშნული მოდულის ფარგლებში მსმენელები



შეისწავლიან კომუნიკაციის შემადგენელ ეტაპებსა და ტიპებს, კომუნიკაციის ხელშემწყობ ფაქტორებს, კონფლიქტის გადაწყვეტის გზებს.

ტრენინგი საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომელთა მეორე ჯგუფისთვის ამა წლის 24 ივნისს დასრულდება.

11.06.12

### **„ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“ ოფიცერთა შემადგენლობისთვის**

სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სასჯელაღსრულების სისტემის სამართლებრივი რეჟიმის სამსახურის ოფიცერთა მესამე ჯგუფის გადამზადება პროგრამით „ეფექტური კომუნიკაცია და ტაქტიკური მომზადება“.

ტრენინგის თემატიკა ოფიცერთა შემადგენლობის სამივე ჯგუფისთვის უცვლელია. კურსსანტებს 5 დღის მანძილზე ჩაუტარდებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობები.

მსმენელთა შეფასება სამ კომპონენტის სისტემის მიხედვით ხორციელდება - ტრენინგზე დასწრება, შუალედური გამოკითხვა და ტესტირება. მონაწილეები, რომლებიც დააგროვებენ 75%-ს და ჩააბარებენ ფიზიკურ ნორმატივებს, ტრენინგის ბოლოს მიიღებენ სერთიფიკატებს.

ტრენინგი ოფიცერთა შემადგენლობის მესამე ჯგუფისთვის 22 ივნისს დასრულდება.

18.06.12

### **ტრენინგი „პრობაციის ოფიცრის როლი სოციალურ მუშაობაში“ დაიწყო**

სასწავლო ცენტრში იწყება არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი სახელწოდებით „პრობაციის ოფიცრის როლი სოციალურ მუშაობაში“.

კურსი გაცნობით სახეს ატარებს და მისი მიზანია პრობაციონერთათვის მომსახურების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პრობაციის ოფიცერთა პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

ტრენინგის ძირითადი თემებია: სოციალური მუშაობის მიმართება პრობაციის ოფიცრების თანამდებობასთან, შეფასების პროცესი და მახასიათებლები, ადამიანის განვითარების მოკლე მიმოხილვა, ინტერვენციის დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპები, კომუნიკაცია, ოჯახთან მუშაობის მნიშვნელობა, პროფესიული ღირებულებები და ეთიკა.

კურსის გავლის შედეგად მონაწილეები გაიღრმავებენ კომუნიკაციისა და ოჯახთან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევებს, სოციალური მუშაობის ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების გათვალისწინებით გაეცნობიან პრაქტიკის წარმოებას.

ტრენინგი ზრდასრულთა განათლების პრინციპებს ემყარება და მასში გამოყენებული იქნება ლექციები, ჯგუფური სავარჯიშოები, დისკუსიები და როლური თამაშები.

აღნიშნული პროგრამით გადამზადებას პრობაციის ოფიცერთა ორი ჯგუფი გაივლის. ტრენინგი პირველი ჯგუფისთვის ამა წლის 25 ივნისს დასრულდება.

21.06.12

---

### **პირველდაწყებითი საბაზისო მომზადება გრძელდება**

სასწავლო ცენტრში გრძელდება სასჯელაღსრულების სისტემის ახლადდანიშნულ თანამშრომელთა ტრენინგი სახელწოდებით „პირველდაწყებითი საბაზისო სასწავლო პროგრამა“.

ტრენინგის მონაწილეები 14 დღის განმავლობაში გაეცნობიან საქართველოს კონსტიტუციის ძირითად დებულებებს, ზოგად ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის და პატიმრობის კოდექსს, სასჯელაღსრულების სისტემის სტრუქტურას, წამების აკრძალვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობას, კრიმინალური სუბკულტურის თავისებურებებს და სხვა თეორიულ საკითხებს.

მსმენელებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები საკნის, პიროვნებისა და ტერიტორიის დათვალიერებაში, უწყისების, პატაკებისა და პირადი საქმის მიხედვით ცნობების წარმოებაში.

კურსანტები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს პირვალადი სამედიცინო დახმარების კუთხით, ასევე ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებას.

მონაწილეთა შეფასება მოხდება სამ კომპონენტური სისტემის მიხედვით - ტრენინგზე დასწრება, შუალედური გამოკითხვა და ტესტირება. წარმატებული მსმენელები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატებს.

ტრენინგის ბოლოს შედგება მონაწილეთა ფსიქოლოგიური პროფილები.

ტრენინგი მესამე ჯგუფისთვის მიმდინარე წლის 7 ივლისს დასრულდება.

25.06.12

### **ვიზიტი სასწავლო ცენტრში**

სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR) უფროს მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხებში ვლადიმერ შკოლნიკოვს შეხვდა.

სტუმარი გაეცნო სასწავლო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას. საუბარი ასევე შეეხო სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს. ორივე მხარემ მზადყოფნა გამოთქვა ტრენინგთა ტრენინგების, სასწავლო ცენტრის სასწავლო პროგრამების შეფასებისა და სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის სასწავლო ცენტრებთან ერთობლივი ტრენინგების ჩატარების კუთხით თანამშრომლობის თაობაზე.

სტუმარმა დაათვალიერა სასწავლო ცენტრის შენობა და კმაყოფილება გამოთქვა ცენტრში არსებული რესურსების გამო.

28.06.12

### **სამუშაო ვიზიტი გერმანიაში**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დელეგაცია ამა წლის 1 ივლისს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ორგანიზებითა და დაფინანსებით სამუშაო ვიზიტით გერმანიაში მიემგზავრება.

ვიზიტის მიზანს ნიდერსაქსენის სასჯელაღსრულების საგანმანათლებლო ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს.

ვიზიტის ფარგლებში სასწავლო ცენტრის დელეგაციის წევრები მოინახულებენ ნიდერსაქსენის რამდენიმე სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და მაღალი რანგის

მოხელეთა მომზადების აკადემიას, დაესწრებიან სხვადასხვა პრაქტიკულ თუ თეორიულ ტრენინგებს.

სამუშაო ვიზიტი 8 ივლისს დასრულდება.

29.06.12

### **შეხვედრა აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელთან**

ამა წლის 12 ივლისს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრს ვიზიტით ეწვია საქართველოში აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავი განყოფილების მრჩეველი პრობაციისა და შეწყალების საკითხებში ჯო ჰიზი. სტუმარს შეხვდნენ სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა და სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი გიორგი ხოჯევანიშვილი.

საელჩოს წარმომადგენელი გაეცნო სასწავლო ცენტრის საქმიანობასა და მუშაობის თავისებურებებს. სტუმარი განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა სასწავლო პროგრამებისა და სწავლების სტანდარტების განხორციელების საკითხებს.

მხარეებმა ისაუბრეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმებზე პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელთა მომზადების სფეროში.

შეხვედრის ბოლოს სტუმარმა დაათვალიერა სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა და მოიწონა ცენტრში არსებული რესურსები და სწავლების სტანდარტები.

13.07.12

### **ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის გრძელდება**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ტრენინგი ექსტრადიციის პროცედურების თემაზე იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მესამე ჯგუფმა გაიარა.

ტრენინგზე მონაწილეები გაეცნენ ექსტრადიციის საერთაშორისო პრეცედენტებს და განიხილეს ისეთი თემები, როგორცაა: ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ექსტრადიციის შემთხვევაში, საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი - ლევან მესხორაძე.

15.07.12

### **ქოუჩინგი განათლების სფეროში**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ერთ დღიანი ტრენინგი სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისთვის თემაზე „განათლების ქოუჩინგი“.

ტრენინგის შესავალ ნაწილში მონაწილეები გაეცნენ ქოუჩინგის წარმოშობის ისტორიასა და მის არსს.

მსმენელებმა ტრენინგის განმავლობაში შეისწავლეს განათლების ქოუჩინგის წარმოების მეთოდები, ოქმის წარმოება და პერსონალური პროფილის წერა, განიხილეს ქოუჩინგის მახასიათებლები, ფაზები და გამოყენების სფეროები.

სასწავლო ცენტრში მიმდინარე ტრენინგების ვიდეომასალის საშუალებით მონაწილეებმა შეასრულეს პრაქტიკული სავარჯიშოები.

ტრენინგი ორ ფაზად ჩატარდება. მეორე ფაზა მიმდინარე წლის სექტემბერში განხორციელდება.

16.07.12

### **ტრენინგი თემაზე „ბანგოკის წესები“ ქალ პატიმრებთან მომუშავე პესრონალისათვის**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს ტრენინგი თემაზე: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ“ (ბანგოკის წესები).

ტრენინგის მიზანია აღნიშნული თემატიკის მიხედვით მოამზადოს ქალ პატიმრებთან მომუშავე სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომლები.

ტრენინგი განიხილავს ქალ პატიმართა სპეციალურ საჭიროებებს სასჯელის მოხდის პერიოდში და მათ მომზადებას გათავისუფლებისათვის. მცირე ჯგუფებში

პრაქტიკული მუშაობისას მონაწილეები იმსჯელებენ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე, ასევე განახორციელებენ ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებით ანალიზს.

ტრენინგი ხორციელდება სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „პატიმარ ქალთა რესოციალიზაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში. პროექტის პარტნიორები არიან საერთაშორისო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI) და საქართველოს ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ (GAWB).

აღნიშნული ტრენინგი სასჯელადსრულების დაწესებულებების თანმშრომელთათვის ექვს ჯგუფად ჩატარდება.

17.07.12

---

### **სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საბადრაგო სამსახურის დებულების შემუშავების მიზნით**

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, სასჯელადსრულების სისტემის საბადრაგო სამსახურის დებულების შემუშავების მიზნით, შედგა სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა.

ჯგუფის წევრებმა განიხილეს დოკუმენტი, რომელიც მიმდინარე წლის 6-7 ივლისს პირველი შეხვედრის დროს ლოპოტას ტბაზე იქნა შემუშავებული.

შემუშავებული პროექტის საბოლოო ვერსია, შემდგომი განხილვის მიზნით, გადაეგზავნება სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და სასჯელადსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელებს.

პროექტი ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, „დანის საქართველოს პროგრამის 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“, ფარგლებში ხორციელდება.

20.07.12

## პერსონალის მართვა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განხორციელდა ტრენინგი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული თანამშრომლებისათვის თემაზე „პერსონალის მართვა“.

ტრენინგი ორი თემატური ნაწილისგან შედგებოდა: „პერსონალის მართვა“ და „კონფლიქტების მართვა“.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მსმენელთათვის იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც დაეხმარება მათ პრობლემების დაძლევაში, კონფლიქტების გადაჭრასა და ეფექტურ მართვაში.

მონაწილეებმა განიხილეს ისეთი თემები, როგორც არის წარმატებული ხელმძღვანელის უნარ-ჩვევები, ხელქვეითების წახალისება, მოტივირების ხელოვნება, კორპორაციული კულტურა, ხელმძღვანელის როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში და სხვა.

ტრენინგს უძღვებოდა გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტი თენგიზ თოფურიძე.

ტრენინგი სასწავლო ცენტრის ორგანიზებითა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) დაფინანსებით განხორციელდა.

23.07.12

## პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი - „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს პრობაციის ოფიცერთა ტრენინგი თემაზე „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა“.

ტრენინგი თეორიულ კურსს და პრაქტიკულ სავარჯიშოებს მოიცავს.

ტრენინგის მონაწილეები თეორიული ნაწილის მიმოხილვისას გაეცნობიან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსს და მისი გამოყენების პრაქტიკას საქართველოში, საერთაშორისო პრაქტიკას, მისჯილ პირთა უფლებებს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის საფუძვლებს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, ელექტრონული მონიტორინგის სისტემას, პასუხისმგებლობას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის

შეუსრულებლობისათვის და სანქციებს საქმის წარმოების დასრულებისას, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების თავისებურებებს არასრულწლოვნებთან მიმართებაში, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ეროვნულ მექანიზმებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში.

მონაწილეები ტრენინგის პრაქტიკულ ნაწილში განიხილავენ ქეისებს საქართველოს და საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითებზე. პრაქტიკული მეცადინეობების დროს კი იმუშავებენ სპეციალური ფორმებისა და ჟურნალების შევსებაზე.

აღნიშნული პროგრამით მომზადებას პრობაციის ოფიცერთა ორი ჯგუფი გაივლის.

სასწავლო ცენტრთან ერთად პროექტის პარტნიორები არიან ციხის საერთაშორისო რეფორმა (PRI) და ღია საზოგადოების ინსტიტუტი. პროექტი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

25.07.12

### **სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სარეჟიმო სამსახურის დებულების შემუშავების მიზნით**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განხორციელდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სასჯელაღსრულების სისტემის სარეჟიმო სამსახურის დებულების შემუშავებასთან დაკავშირებით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და ევროპის საბჭოს ექსპერტებმა.

ჯგუფის წევრებმა მოახდინეს დოკუმენტის მუხლობრივი განხილვა.

დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მისი საბოლოო ვერსია შემდგომი განხილვის მიზნით გადაეგზავნება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას.

პროექტი ხორციელდება ევროსაბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, „დანის საქართველოს პროგრამის 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“, ფარგლებში.

26.07.12



## სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში შედგა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამის - „უნივერსალური ოფიცერი“ - განხილვის მიზნით.

შეხვედრაზე უცხოელმა ექსპერტმა წარმოადგინა რეკომენდაციები პროგრამის დახვეწასთან დაკავშირებით.

აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შედეგად კურსანტები იღებენ განათლებას არა კონკრეტული სპეციალიზაციით, არამედ სისტემის ყველა ძირითადი მიმართულების გათვალისწინებით.

„უნივერსალური ოფიცერი“ 2011 წელს შემუშავდა და სასწავლო ცენტრში იგი წელს მეორედ განხორციელდა.

30.07.12

## ToT – „თვითშეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა სასწავლო ცენტრის ტრენერთა ტრენინგი თემაზე „თვითშეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა“.

ტრენინგი ინდივიდუალურ მუშაობაზე იყო დაფუძნებული და მოიცავდა პირადი სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროექტების შედგენას. ტრენერების მიერ შესრულებული დავალება ეგზავნებოდა სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელობასა და ტრენინგის ექსპერტს.

ინდივიდუალური კონსულტაციების გავლის შედეგად ტრენინგის მონაწილეებმა ჩაასწორეს თავიანთ პროექტები და მოამზადეს პრეზენტაციები, რომლითაც წარდგინენ მონაწილეების წინაშე.

ტრენინგის ბოლო დღეს მონაწილეებმა მიიღეს დამატებით ინსტრუქციები თვითშეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისათვის.

ტრენინგის შედეგად, კითხვარებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების დამხარებით, ტრენინგის მონაწილეები სასწავლო ცენტრის თანამშრომლებთან ერთად შეძლებენ მათთვის პრობლემატური საკითხების გადაჭრას და სასწავლო პროცესის უკეთესად დაგეგმვას.

ლონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა.

31.07.12

### **სამუშაო ჯგუფის შეხვედრა პროგრამების განხილვის მიზნით**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა სასწავლო ცენტრის 2012 წლის პროგრამების განხილვის მიზნით.

სასწავლო ცენტრის წარმომადგენელთა და ექსპერტთა მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამები ევროსაბჭოს ექსპერტებს გადაეგზავნა.

ექსპერტების მიერ გამოგზავნილ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს სამუშაო ჯგუფი სასწავლო ცენტრში ოთხი დღის მანძილზე განიხილავს.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ამა წლის 2 სექტემბერს დასრულდება. ღონისძიება ხორციელდება ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, „დანის საქართველოს პროგრამა 2010-2013, სასამართლო რეფორმის, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების ხელშეწყობა“, ფარგლებში.

30.08.12

### **ტრენინგი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის გრძელდება**

გრძელდება იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა ტრენინგი თემაზე „ექსტრადიციის პროცედურები“.

ტრენინგი შემდეგ საკითხებს მოიცავს: ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს ექსტრადიციის შემთხვევაში, საქართველოს კანონი სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ და პრეცედენტული საქმეები.

ტრენინგს საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსი - ლევან მესხორაძე წარუძღვება.

01.09.12

### „თიმ ბილდინგი და სერვის პლუსი“

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში ამა წლის 9 სექტემბერს ჩატარდა ტრენინგი სამინისტროს სისტემაში კანცელარიისა და საკადრო უზრუნველყოფის ხაზით დასაქმებულ თანამშრომელთათვის - „თიმ ბილდინგი და სერვის პლუსი“.

ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ სერვისის სტანდარტებს, სამინისტროში სერვისის განხორციელების თავისებურებებს და მონაწილეობა მიიღეს ისეთ თამაშებსა და სავარჯიშოებში, რომლებიც ხელს უწყობს მონაწილეთა ერთ გუნდად შეკვრას.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა კომუნიკაციის და მომსახურების დონის გაზრდა, გუნდური თამაშების საშუალებით მონაწილეთა ფარული შესაძლებლობების გამოვლენა, პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურობა და კორპორაციული კულტურის განმტკიცება.

ტრენინგს უძღვებოდა ბომის ფონდის პროგრამის თეოდორ ჰოისის კოლეჯის საერთაშორისო ტრენერი თორნიკე გურული.

10.09.12

### საერთაშორისო კონფერენცია ბელგიაში

2012 წლის 11 სექტემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა სამუშაო ვიზიტით ბელგიაში, ქალაქ მარნეფში გაემგზავრა.

ვიზიტის მიზანია სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპული ქსელის (EPTA) მე-5 საერთაშორისო კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება.

ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოებიდან სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი იყო პირველი, რომელიც 2011 წელს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპულ ქსელში (EPTA) გაწევრიანდა.

ბელგიის, 2012 წლის კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ანდორის, ბავარიის, ირლანდიის, კატალონიის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, პოლონეთის, ხორვატიის, რუმინეთის, საფრანგეთის, შვედეთისა და შვეიცარიის სასწავლო ცენტრები.

იგეგმება სხვა წევრი ორგანიზაციებისათვის საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის, როგორც ახალი წევრის წარდგენა.

კონფერენციის წევრები დაათვალიერებენ მარნევის სასწავლო ცენტრს, გაეცნობიან ადგილობრივი სასჯელაღსრულების სისტემის მუშაობის სპეციფიკას და პრეზენტაციით წარსდგებიან სხვა მონაწილეთა წინაშე.

სამუშაო ვიზიტი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში, 15 სექტემბერს დასრულდება.

11.09.12

### **ვიზიტი ბელგიაში დასრულდა**

დასრულდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის ნატო გუგავას ვიზიტი ბელგიაში, ქალაქ მარნეფში.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრების ევროპული ქსელის (EPTA) მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც ევროკავშირის 16 ქვეყნის სასწავლო ცენტრების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა სამუშაო ჯგუფების მიერ ისეთი თემების განხილვა, როგორცაა მენტორინგი ევროპაში, მძევლად აყვანის პრევენცია და სხვა კრიზისული სიტუაციების მართვა.

საქართველოს წარმომადგენლები მოხსენებით წარდგინეს მონაწილეთა წინაშე სასწავლო ცენტრებთან უკვე არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.

ვიზიტის ბოლოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ ხელი მოაწერა პროტოკოლს, რითაც ოფიციალურად ჩაეყარა საფუძველი შემდგომ პარტნიორობას ქსელის ფარგლებში.

კონფერენციის ფარგლებში შედგა კონფერენციის წევრების შეხვედრა ლიეჟის პროვინციის გუბერნატორთან.

კონფერენციაზე 2013 წლის ქსელის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ირლანდიის სასწავლო ცენტრი. შესაბამისად, მომავალი წლის კონფერენციას, სადაც საქართველოს წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, ირლანდია უმასპინძლებს.

სამუშაო ვიზიტი დაფინანსებული იყო ევროკავშირის პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

17.09.12

## ტრენერთა ტრენინგი "სასწავლო პროგრამებისა და ტესტების შედგენის მეთოდოლოგია"

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით ბათუმში, სასტუმრო „ერა პალასში“ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი სასწავლო ცენტრის ტრენერთათვის „სასწავლო პროგრამებისა და ტესტების შედგენის მეთოდოლოგია“.

ტრენინგის მონაწილეები სამი დღის განმავლობაში მუშაობდნენ აღნიშნულ თემატიკაზე, ეცნობოდნენ სასწავლო პროგრამებისა და ტესტების შედგენის თანამედროვე მიდგომებსა და მეთოდებს. ტრენინგის დიდი ნაწილი პრაქტიკული სავარჯიშოებისგან შედგებოდა. მსმენელები ჯგუფური მუშაობისას ადგენდნენ სასწავლო პროგრამებს ცალკეული თემებისთვის და პრეზენტაციით გამოდიოდნენ მონაწილეთა წინაშე.

ტრენინგს უძღვებოდნენ მოწვეული საერთაშორისო ტრენერები ბელორუსიიდან: ვიტაუტ რუდნიკი და იჰორ კუზმინიჩი.

ტრენინგი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა” ფარგლებში.

05.11.12

## UNICEF-ის კონსულტანტის ვიზიტი სასწავლო ცენტრში

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ დაფინანსებული პროექტის მონიტორინგის ფარგლებში სასწავლო ცენტრს ვიზიტით ეწვია დამოუკიდებელი კონსულტანტი საბინა სალიხოვა.

სტუმარი დაინტერესდა სასწავლო ცენტრის მხრიდან UNICEF-თან თანამშრომლობის შეფასებითა და პროექტის შედეგებით.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა ნატო გუგავამ კონსულტანტს გააცნო 2009-2012 წლების განმავლობაში პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი და მიმოიხილა მათი შედეგები.

საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ტრენინგებზე, რომელიც არასრულწლოვან მსჯავრდებულებსა და პრობაციონერებთან მომუშავე პერსონალისთვის, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგთათვის ჩატარდა. ხაზი გაესვა

აღნიშნული ტრენინგების შედეგად შექმნილი სახელმძღვანელოს როლს შემდგომ მუშაობაში.

მხარეები ერთხმად შეჯერდნენ იმ ფაქტზე, რომ UNICEF-ისა და სასწავლო ცენტრის თანამშრომლობამ წარმატებით ჩაიარა, რისი შედეგებიც დღეს სახეზე გვაქვს.

კონსულტანტი ასევე დაინტერესდა სასწავლო ცენტრში მსგავსი პროექტების გაგრძელების საჭიროებით.

შეხვედრის ბოლოს სტუმარმა დაათვალიერა ცენტრის შენობა და კმაყოფილება გამოთქვა არსებული რესურსების თაობაზე.

14.11.12

---

### **ტრენინგი არასრულწლოვანთა დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელთათვის**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს ტრენინგი არასრულწლოვანთა დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელთათვის.

ტრენინგი მოიცავს შემდეგ ძირითად თემებს: საერთაშორისო სტანდარტები, წამების აკრძალვა, პატიმრობის კოდექსი. მონაწილეები თეორიულ სწავლებასთან ერთად გაივლიან პრაქტიკულ მეცადინეობებს იმიტირებულ საკანში და სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში.

ტრენინგის მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს მსჯავრდებულის ფსიქოლოგიური აღქმა-შეფასება. მსმენელები ასევე იმუშავენ კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესებასა და კონფლიქტების მართვაზე.

ტრენინგს უძღვებიან სასწავლო ცენტრის ტრენერები. სწავლების ბოლო დღეს მსმენელებს მეცადინეობას ჩაუტარებენ ექსპერტები წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრიდან (GCRT).

სასწავლო პროგრამა სულ 28 სესიისგან შედგება და 7 დღე გასტანს.

26.11.12

---

## ტრენინგი სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფსიქოლოგთათვის

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფსიქოლოგთა მოსამზადებელი კურსი.

ტრენინგის ძირითადი თემებია: ფსიქოლოგი დაწესებულებაში, მსჯავრდებული პაციენტი, ფსიქოდიაგნოსტიკა, კლინიკური ინტერვიუება და კონსულტირება. ტრენინგის მონაწილეები შეისწავლიან ფსიქომეტრიული ინსტრუმენტების გამოყენებას, აგრესიის, შფოთვის, დეპრესიის, ფსიქიკური აშლილობის სიმპტომების გამოვლენის და სხვა კითხვარების შევსებას და ადმინისტრირებას. პრაქტიკულ მეცადინეობაზე განახორციელებენ ფსიქომეტრიულ ანალიზსა და კონსულტირების გეგმის ჩამოყალიბებას.

მსმენელები აგრეთვე შეისწავლიან კლინიკური ინტერვიუების ტექნიკას, ანალიტიკური კონსულტირების ფორმებს, კოგნიტიურ ქცევით და ეგზისტენციალურ-ჰუმანსტურ კონსულტირებას.

ტრენინგის ბოლო დღე საკანონმდებლო ნაწილს დაეთმობა.

ტრენინგი 2012 წლის 8 დეკემბერს დასრულდება.

04.12.12

## სამუშაო ვიზიტი ირლანდიაში დასრულდა

დასრულდა სამუშაო ვიზიტი ირლანდიაში, პორტ-ლიმეს სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრში.

სამუშაო ჯგუფის წევრები გაეცნენ სასწავლო ცენტრის მუშაობის თავისებურებებს და გაიზიარეს ადგილობრივი გამოცდილება. დელეგაციის წევრები ასევე შეხვდნენ სასწავლო ცენტრის პარტნიორი კოლეჯის - IT Sligo-ს წარმომადგენლებს. სასწავლო ცენტრის გარდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა გადასამზადებელი პროგრამების ნაწილს სწორედ აღნიშნული კოლეჯი ახორციელებს ცენტრთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ვიტფილდის წინასწარი პატიმრობისა და კლოვერჰილის სასჯელაღსრულების დაწესებულება. შედგა შეხვედრა პრობაციის სამსახურში, სადაც გაეცნენ სამსახურის მუშაობის თავისებურებებს.

ვიზიტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ირლანდიის კვლევითი ცენტრებისა და სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლობის სპეციფიკის გაცნობა. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფი ეწვია ორ კვლევით ინსტიტუტს: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ცენტრს კორკში და კრიმინოლოგიის ინსტიტუტს ბელფილდში.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ორ სასწავლო ცენტრს შორის. საქართველოს მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილემ სოფიო ჯაფარიძემ, ხოლო ირლანდიის მხრიდან - ირლანდიის სასჯელაღსრულების სასწავლო ცენტრის დირექტორმა - ჯონ მაკგუკინმა.

ვიზიტი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში.

10.12.12

### **სოციალურ მუშაკთა გადამზადება**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებული სოციალური მუშაკების გადამზადება.

ტრენინგის მიზანია მიაწოდოს მონაწილეებს ინფორმაცია სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლების შესახებ სასჯელაღსრულების სფეროში.

ტრენინგის მონაწილეები თეორიულ კურსის გავლისას განიხილავენ თემატურ ამონარიდებს პატიმრობის კოდექსიდან, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანებებიდან.

მსმენელები მიიღებენ ცოდნას სოციალური მუშაკის ინსტიტუტის შესახებ სასჯელაღსრულების სისტემაში საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, მოახდენენ სოციალური მუშაკის სამსახურის ანალიზს ადგილობრივ სასჯელაღსრულების სისტემაში. გაეცნობიან ქვევის ცვლილების მოდელს, ინდივიდებთან, ჯგუფებთან და თემთან მუშაობის თეორიასა და პრაქტიკას, კომუნიკაციის როლსა და ფორმებს სოციალურ სამუშაოში.

ტრენინგში გამოყენებულია იტერაქტიული მეთოდები: მინი ლექციები, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, დისკუსია, როლური თამაშები.

ტრენინგი მიმდინარე წლის 14 დეკემბერს დასრულდება.

12.12.12



## ევროკავშირის პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია

2012 წლის 11 დეკემბერს თბილისში, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასში ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ - შემაჯამებელი კონფერენცია.

პროექტი ითვალისწინებდა სასწავლო ცენტრის მხარდაჭერას 4 მიმართულებით: ტრენინგები, სასწავლო ტურები, საგამომცემლო საქმიანობა და ელექტრონული პროგრამების შემუშავება.

პროექტის ფარგლებში ორი წლის მანძილზე განხორციელდა ტრენინგები სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა და ტრენერთათვის, მოეწყო სასწავლო ტურები, გამოიცა სახელმძღვანელოები და ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები.

კონფერენცია გახსნა და მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების მინისტრმა ბ-ნ სოზარ სუბარმა.

პროექტის საქმიანობის შემაჯამებელი პრეზენტაციით დამსწრეთა წინაშე წარდგა სასწავლო ცენტრის დირექტორი ქ-ნი ნატო გუგავა.

პროექტის შემაჯამებელ კონფერენციას ესწრებოდნენ წარმომადგენლები სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე დაფუძნდა „სასჯელის აღსრულების კვლევითი ცენტრი“.

კონფერენციის ბოლოს ხელი მოეწერა კვლევითი ცენტრის დაფუძნების საორგანიზაციო დოკუმენტებს.

12.12.12

---

## ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს ტრენინგი „ადამიანის უფლებათა მონიტორინგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში“.

ტრენინგში მონაწილეობას იღებენ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს თანამშრომლები.

ტრენინგის მონაწილეები გაივლიან ისეთ თემებს, როგორც არის მონიტორინგის მნიშვნელობა, არსი და მიზნები, ძირითადი პრინციპები და სფეროები. ტრენინგის თეორიულ ნაწილში მსმენელები ასევე განსაზღვრავენ მონიტორინგის მიზნებსა და ინსტრუმენტებს.

პრაქტიკული მაგალითებისა და სავარჯიშოების საშუალებით მონაწილეები შეიმუშავებენ მონიტორინგის ჯგუფის სამოქმედო გეგმას და ინსტრუმენტებს; განახორციელებენ იმიტირებულ მონიტორინგს, შემდგომ კი მოახდენენ ნამუშევრების შეფასება-განხილვას.

ანგარიშის მომზადებისა და სტრუქტურის შესწავლის შემდეგ ტრენინგის მონაწილეები ჯგუფური მუშაობის პრინციპით მოამზადებენ ანგარიშს და პრეზენტაციით წარდგებიან სხვა მონაწილეთა წინაშე.

ტრენინგის ბოლოს გაიმართება შემაჯამებელი დისკუსია და მონაწილეები ტრენინგთან ერთად შეაფასებენ ტრენინგს.

ტრენინგი მიმდინარე წლის 14 დეკემბერს დასრულდება.

13.12.12

### **ევროკავშირის ექსპერტის ვიზიტი სასწავლო ცენტრში**

მიმდინარე წლის 14 დეკემბერს სასწავლო ცენტრის დირექტორი ნატო გუგავა შეხვდა ევროკავშირის დაფინანსებული პროექტის "სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში" ძირითად ექსპერტს პრობაციის საკითხებში რენდელ ბაროუსს.

სტუმარი დაინტერესდა 2012 წელს განხორციელებული ტრენინგებითა და წლიური ანგარიშით. ექსპერტი გაეცნო სასწავლო ცენტრის მუშაობის სპეციფიკას და განსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა ტრენინგების დაგეგმვისა და ამ მიზნით საჭიროებების კითხვარის გამოყენების საკითხს.

შეხვედრის ბოლოს მხარეებმა ისაუბრეს აღნიშნული პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ 2013 წლის განმავლობაში.

14.12.13

## ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების სასწავლო პროგრამა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში განხორციელდა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა ტრენინგი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების თემაზე. მონაწილეებმა გაიარეს სამ დღიანი სწავლება სპეციალური პროგრამის მიხედვით, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკული ნაწილში.

თეორიული კურსის განმავლობაში მსმენელები გაეცნენ იარაღის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შეისწავლეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უსაფრთხოების წესები, იარაღის სახეები და ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მახასიათებლები, დაზიანების შემთხვევაში პირველადი სამადიცინო დახმარების აღმოჩენა.

პროგრამის მეორე ნაწილი დაეთმო იარაღის დაშლა-აწყობასა და სროლაში მომზადებას სასწავლო ტირისა და ლაზერული იარაღის გამოყენებით.

აღნიშნული ტრენინგით მომზადება 25 მონაწილემ გაიარა.

17.12.12

---

## ტრენერთათვის მეთოდური ლიტერატურა გამოიცა

2012 წელს სასწავლო ცენტრის ექსპერტების მიერ მომზადდა და გამოიცა ტრენერთა სახელმძღვანელოები:

1. ინტერაქცია და კომუნიკაციის თანამედროვე ფორმები ტრენინგზე - ტრენერთა სახელმძღვანელო, რომლის ავტორია თორნიკე გურული

წიგნი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ რჩევებს თემებზე: ტრენინგის დაგეგმარება, ტრენინგის მსვლელობისას მიმდინარე პროცესები, პრეზენტაციის ტექნიკა, დისკუსიის გამართვა, ვიზუალიზაცია ტრენინგზე და სხვა კონკრეტული მეთოდები, რომლებიც დაეხმარება ტრენერებს, უფრო კრეატიულად და საინტერესოდ წარმართონ დაგეგმილი ტრენინგები.

2. პრაქტიკული სახელმძღვანელო ტრენერებისათვის, სადაც აღწერილია ტრენერთა ტრენინგის განხორციელების მეთოდები, ტრენერის ფუნქციები, სწავლებისა და შეფასების მეთოდები. წიგნში თავმოყრილია როგორც თეორიული მასალა, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები.

წიგნის ავტორები არიან მაია (ზოია) ხასია, ავთანდილ მიქანაძე და ელისო ამირეჯიბი.

აღნიშნული ორი სახელმძღვანელო მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ყველა დამწყებ თუ გამოცდილ ტრენერს, რომელთაც ზრდასარულთა განათლების სფეროში უწევთ მუშაობა.

სახელმძღვანელოები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა” ფარგლებში გამოიცა.

19.12.12

### **ტრენინგი არასრულწლოვანთა დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელთათვის**

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში გრძელდება ტრენინგი არასრულწლოვანთა დაწესებულების სარეჟიმო განყოფილების თანამშრომელთათვის.

პირველი ორი დღის განმავლობაში ფსიქო-სოციალური, სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილებების თანამშრომლები გაივლიან ტრენინგის ერთობლივ ნაწილს თემებზე: საერთაშორისო სტანდარტები, წამების აკრძალვა, პატიმრობის კოდექსი და არასრულწლოვანთა დაწესებულების დებულება.

ტრენინგის მეორე ნახევრის განმავლობაში სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომლები იმუშავენ მსჯავრდებულის ფსიქოლოგიური აღქმა-შეფასების საკითხებზე, კომუნიკაციის უნარის გაუმჯობესებასა და კონფლიქტების მართვაზე, ხოლო ფსიქო-სოციალური განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული მეცადინეობები ინდივიდუალური გეგმის წარმოებაში.

ტრენინგი 22 დეკემბერს დასრულდება.

19.12.12

## ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული

2012 წელს სასწავლო ცენტრის ბაზაზე ითარგმნა და ქართულ ენაზე გამოიცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული.

წიგნში შესულია ევროპულ სასამართლოში განხილულ 6 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები. კერძოდ კი:

- ვალაშინასი ლიტვის წინააღმდეგ
- ტაირერი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ
- ჩემბერი რუსეთის წინააღმდეგ
- ლორსე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ
- მუიზელი საფრანგეთის წინააღმდეგ
- დუგოზი საბერძნეთის წინააღმდეგ

წიგნი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოიცა.

28.12.12

---